დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 99 08
22/12/2016

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით სესხის აღებაზე თანხმობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 19-ე მუხლის ,,თ'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ე'' ქვეპუნქტისა და მე-100-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელს, აიღოს სესხი, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, საქართველოში საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის მიღებული დაფინანსებიდან 154781 ევრო, ათი წლის ვადით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ.N113).

ლერი ბერუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე